თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 28 თებერვალი სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 25, სტუდენტები – 5, სულ –30 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი, თ. ბერიძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარის შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. სადოქტორო პროგრამის ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელისა და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციის ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშგების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს არ ესწრება მდივანი ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე და წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფეოსორი მარინა ჩავლეიშვილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30 წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქ-მა ე. ხარაიშვილმა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა ითხოვა. კერძოდ, დღის წესრიგს დაემატა საკითხი: ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის (2016–2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი) ხარისხების მინიჭების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე –30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 28 თებერვლის #2 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი, თ. ბერიძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში შემოვიდა საერთაშორისო ბიზნესის კათედრის სხდომის ოქმის ამონაწერი (ოქმი№1 17.10.2016) პროფესორ თ. შენგელიას ხელმოწერით, რომელშიც კათედრამ საბჭოს ახალ წევრად წარმოადგინა ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილის კანდიდატურა.
სხდომის თავმჯდომარემ, თ. ბერიძემ საბჭოს სთხოვა ასოცირებული პროფესორის შ. შაბურიშვილის საბჭოს წევრად უფლებამოსილების შესახებ მიეღოთ გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ახალ წევრად არჩეულ იქნეს საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017-2018 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ ანკეტა–კითხვარი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2017-2018 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ეკონომიკა – 80 ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირება – 185 ადგილი;
- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) – 50 ადგილი;
- ტურიზმი (თსუ ტურიზმის სკოლა) – 10 ადგილი.

აზრი გამოთქვა:

პროფესორმა ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ტენდენცია კონტიგენტის შემცირების და ამ ფაქტს საბჭომ მხარი არ უნდა დაუჭიროს. კერძოდ, პროფესორი ა. სილაგაძე შემოვიდა წინადადებით, რომ ამ ეტაპზე ეკონომიკის სამაგსიტრო პროგრამაზე კონტიგენტი 100-მდე გაიზარდოს, ხოლო მომავალში მოხდეს ფაკულტეტზე არსებულ ყველა სასწავლო პროგრამების შესაბამისად კონტიგენტის გაზრდა.

პროფესორმა ქ. მერშავამ აღნიშნა, რომ კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნის დასაბუთებისთვის, ერთერთ არგუმენტად შეიძლება დასახელდეს ფაკულტეტზე, დინამიკაში სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.

პროფესორმა ს. გელაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში ეკონომიკის მიმართულებით 92 სტუდენტი სწავლობდა და არა 80.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურაში ეკონომიკის მიმართულებაზე სტუდენტების ზრდადი რაოდენობა გაპირობებული იყო სტუდენტების მობილობით.

პროფესორმა ი. ხელაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია მაგისტრატურაში ტურიზმის მიმართულებითაც განხორციელდეს კონტიგენტის გაზრდა.

ასოცირებულმა პროფესორმა ნ. კაციტაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე, ტურიზმის მიმართულებით კონტიგენტის გაზრდის საფუძველი არის ამ სპეციალობაზე მაღალი კონკურსი, ასევე, დარგის სპეციფიკურობა.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ მიმიდნარე ეტაპზე განხილვისთვის ოპტიმალური ვარიანტია წარმოდგენილი და თავი უნდა შევიკავოთ ტურიზმის მიმართულებით კონტიგენტის გაზრდასთან მიმართებაში. მან წარმოადგინა დასაბუთება, კერძოდ, ეკონომიკის მიმართულებაზე ერთ მოდულზე საშუალოდ 11,4 მაგისტრია, ხოლო ტურიზმის მიმართულებით 20 ადგილის გამოცხადება სწავლების ხარისხზე უარყოფითად აისახება. რაც შეეხება ამ მიმართულებით მაგისტრების გაზრდას, იგი შესაძლებელია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში, სადაც არის წარმოდგენილი ტურიზმის მოდული და თუ კათედრა მოახდენს მაგისტრებისთვის პრეზენტაციებს შესაძლებელი გახდება მათი მოტივაცია არჩევანი გააკეთონ ტურიზმის მიმართულებით.

პროფესორმა ნ. თოდუამ აღნიშნა, რომ სასურველია მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებითაც განხორციელდეს კონტიგენტის გაზრდა.

სტუდენტი ა. ყუბანეიშვილმა დასვა საკითხი ქოტების განაწილების დროს კონკურენციის გათვალისწინების შესახებ და გამომდინარე აქედან, დაინტერესდა ამ თვალსაზრისით წარმოდგენული ადგილები იყო თუ არა ოპტიმალური ვარიანტი.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ადგილების განაწილება ითვალისწინებს კონკურენციას და გამომდინარე აქედან, იგი შეიძლება ოპტიმალურ ვარიანტად ჩაითვალოს.

ასოცირებულმა პროფესორმა შ. შაბურიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის მიმართულებაზე ადგილები არ ივსება და გარკვეული პრობლემებია.

ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის მიმართულებაზე ადგილების შევსებასთან დაკავშრებით პრობლემა არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. ბერიძემ აღნიშნა აღნიშნა, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ წარმოდგენილი წინადადებები, თუმცა და ამ ეტაზე, მხოლოდ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის გაზრდას 100-მდე უნდა დაუჭიროთ მხარი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარი ადგილების შემდეგი განაწილებით:

- ეკონომიკა – 100 ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირება – 185 ადგილი;

- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) – 50 ადგილი;
- ტურიზმი (თსუ ტურიზმის სკოლა) – 10 ადგილი. (იხ. დანართი)

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ეკონომიკის საერთაშრისო სკოლის პრეზიდენტის ერიკ ლივნის წერილი (#163/29, 25.01.2017), რის საფუძველზეც საბჭოს წინაშე ის ითხოვს შუამდგომლობას და მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ინგლისურენოვანი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ ნოდარ ოქროშიაშვილს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ინგლისურენოვანი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ნოდარ ოქროშიაშვილი 59001102121

მოისმინეს: სადოქტორო პროგრამის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელისა და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციის „ტურიზმისა

და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელად შემოთავაზებულია იოსებ ხელაშვილის კანდიდატურა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: სადოქტორო პროგრამის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციის „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფესორი იოსებ ხელაშვილი.

მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიშგების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნათ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.
აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2016–2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი, რომელშიც ითხოვდა 2016–2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტის“ V საფეხურის 10 კურსდამთავრებულისთვის - სასტუმრო საქმისმწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა და „ტურიზმის მენეჯმენტის“ IV საფეხურის 17 კურსდამთავრებულისთვის ტურისტული პროდუქტის გაყიდვის სპეციალისტის კვალიფიკაციის მინიჭებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 30

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოთ 2016-2017 სასწავლო წლის შემოგომის სემესტრის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებს შემდეგი კვალიფიკაცია:

ა. „სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტის“ V საფეხურის კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ -**„სასტუმრო საქმისმწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“**,(V Level, Hotel Worker) და მიიღოს პროფესიული დიპლომი, სულ 10 სტუდენტი, მათ შორის:

დიპლომი წარჩინებით (3 სტუდენტი):

1. ვახტანგ რუხაძე -0101107052
2. მანანა ოსეფაიშვილი -46001022714
3. ვლადიმერ ნიკოლაიშვილი -01008061894

დიპლომი ჩვეულებრივი (7 სტუდენტი):

1. ზაზა ჭიკაიძე -31001026803
2. ალბერტ კალაჩიანი -52001025742
3. მარიამ მენაბდიშვილი -01030051683
4. ნათია გაგელიძე -01001027602
5. გვანცა გიორგაძე -35001116994
6. ნინო დვალიშვილი -01017056750
7. ნოდარ შოშიაშვილი -01011095949

ბ. „ტურიზმის მენეჯმენტის“ IV საფეხურის კურსდამთავრებულებს მიენიჭოთ „ტუროპერატორის (აგრო, ეკო და ა.შ ტუროპერატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - **„ტურისტული პროდუქტის გაყიდვის სპეციალისტი“**, (IV Level, Tourism Product Sales Specialist) და მიიღოს დიპლომი, სულ 17 სტუდენტი, მათ შორის:

დიპლომი წარჩინებით (2 სტუდენტი):

1. თინათინ მოსიაშვილი - 01027018839
2. ქეთევან აფრიაშვილი - 01019077146

დიპლომი ჩვეულებრივი (15 სტუდენტი):

1. თამარი ჭილაშვილი -12001093755
2. მარი წიკლაური - 59001113305
3. ქრისტინა ჩაგრაგანიძე - 33001076902
4. ნუნუ სულამანიძე - 09001025536
5. სოფიო სტეფნაძე - 57001054886
6. სოფიო სიდამინიძე - 43001044049
7. ნუგბარ რამაზანოვა - 01991010486
8. ნინო ნოზაძე - 35001117106
9. ნათია გელიაშვილი - 31001052896
10. მანანა ელიზბარაშვილი - 01008005104
11. მაია დარსალია - 01006007995
12. ლანა გორდელაძე - 33001080155
13. მარიამი გოდაძე - 01605047249
14. ნათია გაფრინდაშვილი - 01001056618
15. ნიკა გაბლიშვილი - 01027059237

მოისმინეს: ქალბატონ ე. ხარაიშვილის ინფორმაცია მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების საკითხების კორექტირების შესახებ საგანში „ეკონომიკის პრონციპები“. მან აღნიშნა, რომ საკითხები წარმოადგინა პროფესორმა ე. მევქაბიშვილმა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.
აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს მდივანი მ. ჩავლეიშვილი